ეთნიკური კონფლიქტი და მედია დისკურსი: სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის რეტროსპექტივა

ბადრი ოყუჯავა

2021 წელი

ნაშრომი შეიქმნა პროექტის „ქართულ-ოსური კონფლიქტის დროითი წრფივი (1989-2008): დოკუმენტები წარსულის გახსენებისა და ანალიზისვთის“ ფარგლებში თავმოყრილ ასობით დოკუმენტსა და საარქივო მასალაზე დაყრდნობით.

ნაშრომში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს. ნაშრომის შინაარსი შეიძლება ყოველთვის არ გამოხატავდეს „ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტის“ მოსაზრებებს.

შინაარსი

აბსტრაქტი 3

შესავალი..... 4

დისკურსები, სოციალური საზღვრები და იდენტობა: თეორიული და

მეთოდოლოგიური კონცეპტუალიზაციის მცდელობა..... 6

„ჩვენ“ და „სხვები“: სოციალური საზღვრების გამოგონება დისკურსით და

დისკურსში..... 9

ამბავი ქართულ იმპერიასა და ქართველ ნაციონალისტებზე..... 13

შეჯამება..... 17

გამოყენებული ლიტერატურა..... 19

აბსტრაქტი

წარმოდგენილი ნაშრომი მიზნად ისახავს „ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტის“ მიერ, „ქართულ-ოსური კონფლიქტის დროითი წრფივის (1989-2008)“ ფარგლებში თავმოყრილ მრავალფეროვან საარქივო მასალებზე დაყრდნობით აჩვენოს მედია დისკურსების როლი ეთნიკურ კონფლიქტებში.

მეთოდოლოგიური თვალსაზრისით ნაშრომი დაფუძნებულია დისკურსის კრიტიკული ანალიზის მოდელზე, რომელიც გამოცდილი კვლევითი მიდგომაა მსგავსი ტიპის შემთხვევების საფუძვლიანი ანალიზისათვის. მნიშვნელოვანია, რომ დისკურსის ანალიზი ერთდროულად შეიცავს როგორც მეთოდურ ასევე თეორიულ ელემენტებს, რაც ერთი, ერთი მხრივ, ქმნის კვლევის თეორიულ, მეორე მხრივ კი მეთოდოლოგიურ ჩარჩოებს. კვლევის ფარგლებში შევეცადე, პასუხი გამეცა ორი ძირითადი საკვლევი კითხვისთვის: (ა) როგორ განსაზღვრავდა თანადროული მედია დისკურსი კონფლიქტში ჩართული მხარეების როლს და რომელ ძირითად ფაქტორებსა თუ აქტორებზე მახვილდებოდა ყურადღება? (ბ) რამდენად ზემოქმედებდა ქართულ-ოსური კონფლიქტის გარშემო ფორმირებული მედია დისკურსები საკუთრივ კონფლიქტსა და პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესზე?

ნაშრომის ფარგლებში გაანალიზდა ქართულ-ოსური კონფლიქტის საწყის ეტაპზე ბეჭდური მედიის საშუალებით გავრცელებული სხვადასხვა ტიპის გზავნილი და მათი გავლენა კონფლიქტის მონაწილე მხარეებზე. ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე, კვლევა ფოკუსირებულია მედია დისკურსის შემადგენელ ისეთ ცვლადებზე, როგორებიცაა აქტორთა ქცევა (მოქმედება და რიტორიკა), კონფლიქტში მონაწილე მხარეების მოქმედებები, შედეგები და არჩევანი შესაძლო ვარიანტებს შორის. ვიმედოვნებთ, რომ მსგავსი კვლევები წაახალისებს მედია დისკურსების კვლევებს, რაც პრობლემის მულტიპერსპექტიული აღქმის საშუალებას მოგვცემს.

საძიებო სიტყვები: ეთნიკური კონფლიქტები, მედია დისკურსები, სამხრეთ ოსეთი.

შესავალი

ეთნიკურ კონფლიქტებსა და მედია დისკურსებს შორის არსებული კავშირების კვლევა დასავლურ აკადემიურ სივრცეებში გასული ათწლეულის მანძილზე გახდა აქტუალური, რაც სხვადასხვა მიზეზით შეიძლება იყოს განპირობებული. ამ მიზეზებს შორის ერთ-ერთი აღნიშნულ კონფლიქტებში პირდაპირი ძალადობის (Direct Violence) წილის შემცირებაა, რამაც მკვლევართა ინტერესი ცხელი კონფლიქტიდან მის მიღმა მიმდინარე პროცესებზე გადაიტანა.

და მაინც, რა პროცესები შეიძლება მიმდინარეობდეს ძალადობრივი ეთნიკური კონფლიქტების მიღმა? – ამ კითხვაზე ერთ-ერთი პასუხის ავტორი, ნორვეგიელი მშვიდობისა და კონფლიქტების მკვლევარი იოჰან გალტუნგი, კონცეპტუალურ ჩარჩოში აქცევს ძალადობას, როგორც ფენომენს და გამოყოფს მის ორ დამატებით სახესხვაობას, შესაბამისად, სტრუქტურულ და კულტურულ ძალადობას.[1] ძალადობის ეს ორი ტიპი აისბერგის წყლით დაფარულ ნაწილში იმალება, აისბერგის წვეროზე კი მხოლოდ პირდაპირი ძალადობა, გასროლილი ტყვია, კონფლიქტის დაჭრილი ან მოკლული მსხვერპლები ჩანან.

პირდაპირი, სტრუქტურული და კულტურული ძალადობის პროცესის მიღმა ყოველთვის იკვეთება დისკურსი, რომელიც მედიის გავლით მიეწოდება კონფლიქტის მონაწილე მხარეებს და ფორმას აძლევს მათ განწყობებს, ემოციებსა და რწმენებს. უფრო მეტიც, დისკურსი ცვლის არსებული ცოდნისა და სოციალური რეალობის სტრუქტურას, ქმნის აღქმათა ახალ სისტემას, რომლის ფარგლებშიც ხელახლა ყალიბდება მტრისა და მოკავშირის (სხვგვარად „სხვები“ და „ჩვენ“) ხატები.

წარმოდგენილი სტატიის მიზანი მტრის ხატის კონსტრუირებაზე დაკვირვება რომ იყოს, ალბათ იმის დამატებაც მოგვიწევდა, რომ მსგავსი ხატების ფუნქცია და

[1] Galtung, Johan. *Peace by peaceful means: Peace and conflict, development and civilization*. Vol. 14. Sage, 1996.

უმთავრესი დანიშნულება არა მხოლოდ საკუთარ ვინაობაზე ხაზგასმა, არამედ დაბრკოლების (წინაღობის, გამყოფი ხაზის) შექმნაც არის. მსგავსი დაბრკოლების ფონზე, დაპირისპირებული ჯგუფების ფასეულობებისა და ღირებულებათა სისტემების, ჩვენს შემთხვევაში კი ეთნიკური თუ ნაციონალური იდენტობის განსხვავებულ ნიშანთა (მარკერთა) უფრო მძაფრი აღქმა ხდება. თუმცა, ამ სტატიის მიზანი არ არის და ვერც იქნება მტრის ხატის შექმნის პროცესზე დაკვირვება, რომელიც შესაძლოა, ჩამალული იყოს კომპლექსური მედია დისკურსების სიღრმეში ან შეტივტივებული იყოს ზედაპირზე.

წარმოდგენილი სტატია მიზნად ისახავს „ქართულ-ოსური კონფლიქტის დროითი წრფივის (1989-2008 წ.წ.) ფარგლებში თავმოყრილ სხვადასხვა ტიპის საარქივო მასალაზე დაყრდნობით განსაზღვროს, ქართულ-ოსური (ან, ქართულ-ოსურ-რუსული) კონფლიქტის პარალელურად სხვადასხვა საინფორმაციო ველში (მეტწილად ბეჭდური მედია) ფორმირებული დისკურსის ბუნება და თვისებრივი ხასიათი. სტატია ორიენტირებულია პასუხი გასცეს ორ ძირითად კითხვას:

- როგორ განსაზღვრავდა თანადროული მედია დისკურსი კონფლიქტში ჩართული მხარეების როლს და რომელ ძირითად ფაქტორებსა თუ აქტორებზე მახვილდებოდა ყურადღება?
- რამდენად ზემოქმედებდა ქართულ-ოსური კონფლიქტის გარშემო ფორმირებული მედია დისკურსები საკუთრივ კონფლიქტსა და პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესზე?

მიმაჩნია, რომ წარმოდგენილ კითხვებზე პასუხის გაცემა მკაფიო წარმოდგენას შექმნის ქართულ-ოსური კონფლიქტის საწყის ეტაპებზე მედიების მიერ ფორმირებული წამყვანი დისკურსების შესახებ.

შემოთავაზებული საკვლევი კითხვების პარალელურად, სტატიამ ზოგადი წარმოდგენა უნდა შექმნას ქართულ-ოსური კონფლიქტის პარალელურად ფორმირებული მედია დისკურსების მაერთიანებელ და გამყოფ ხასიათზე.

დისკურსები, სოციალური საზღვრები და იდენტობა: თეორიული და მეთოდოლოგიური კონცეპტუალიზაციის მცდელობა

დისკურსის, როგორც წარმოდგენილ სტატიაში დაკვირვების ძირითად ობიექტად შერჩეული ცვლადის მნიშვნელობა და ადგილი აკადემიური მიმართულებების მიხედვით განსხვავებულია. სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში დისკურსი განისაზღვრება როგორც ჩარჩო, რომლის ფარგლებშიც ხდება ცოდნის კონსტრუირება საკვანძო საკითხის შესახებ; ცოდნის შექმნა კი თავისთავად გულისხმობს ძალაუფლების გავრცელების შესაძლებლობას.

დისკურსის კლასიკურ განსაზღვრებას, რომელიც შეიძლება სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში ამოსავალ დეფინიციად გამოვიყენოთ, გვთავაზობს მიშელ ფუკო. ფუკოს მიხედვით სწორედ დისკურსია იმ პრაქტიკების ერთობლიობა, რომელთა დახმარებითაც ინდივიდები კონკრეტულ მნიშვნელობას ანიჭებენ რეალობაში მომხდარ თუ მიმდინარე მოვლენებს.[2] კომუნიკაციისა და ინფორმაციის გავრცელების სხვადასხვა ფორმა, მათ შორის პრესაც, შეიცავს იმგვარ პრაქტიკათა ერთობლიობას, რომელიც კონკრეტული საკითხის (მაგალითად, მიმდინარე თუ მოსალოდნელი კონფლიქტების, იდენტობათა ჯგუფების, სოციალური საზღვრების და ა.შ.) შესახებ სპეციფიკური დისკურსის ფორმირებას ცდილობს. ამ მიზნის მისაღწევად მედიები სხვადასხვა საშუალებას, მათ (ა) შორის სპეციფიკურ თხრობას, (ბ) სენსიტიურ საკითხებზე ყურადღების გამახვილებას, (გ) ჯგუფებს შორის არსებულ განმასხვავებელ ან მაერთიანებელ ფაქტორებზე ყურადღების გადატანის გზებს მიმართავენ.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დისკურსის ფარგლებში, სოციალური აქტორები, ისევე როგორც სოციალურ-პოლიტიკური გარემოებები და იდენტობებს შორის

[2] Foucault, Michel. *Archaeology of knowledge and the discourse on language.* Pantheon Books, New York. 1971. გვ. 21.

არსებული ურთიერთობები, ხდებიან ცოდნის ობიექტები (Objects of knowledge).[3] საზოგადოებრივ დონეზე, თხრობითი რეპრეზენტაციისა და განსხვავებული დიალოგური კონტექსტების ფარგლებში კონსტრუირებული დისკურსული პრაქტიკები გავლენას ახდენენ ჯგუფების ქმნადობაზე (Group Making)[4]. ამასთან, დისკურსი ცდილობს ხილული გახადოს ან დამალოს ურთიერთობები სოციალურ ჯგუფებსა და კლასებს, ნაციონალურ, ეთნიკურ, რელიგიურ თუ პოლიტიკური უმცირესობებსა და უმრავლესობებს შორის.[5] ამდენად, მედია და მედიის მიერ ფორმირებული დისკურსი რელევანტურად შერჩეული ცვლადია, რომელიც იდენტობების, სოციალური საზღვრებისა და, ზოგადად, ჯგუფების ქმნადობის პროცესზე არაპირდაპირი დაკვირვების საშუალებას გვაძლევს.

განსხვავებული დისკურსების კვლევის ყოველი მომდევნო მცდელობა ახლებური მიდგომის, სპეციფიკური მეთოდის შემუშავებას მოითხოვს, რომელიც თავს მოუყრის როგორც ტექსტს, ასევე კონტექსტსა და იმ სოციალურ ფაქტორებს, რაც ამ ყოველივეს მიღმა შეიძლება იმალებოდეს ან განაპირობებდეს მას. ამდენად, წლების მანძილზე შემუშავდა დისკურსების კვლევის ზოგადი მოდელი, მეთოდოლოგიური ჩარჩო, რომელსაც დისკურსის კრიტიკული ანალიზის სახელით ვიცნობთ (Critical Discourse Analysis, CDA).

დისკურსის კრიტიკული ანალიზისთვის შემოთავაზებულ სტატიაში იმგვარი კონცეპტუალური ჩარჩო შეირჩა, რომლის ფარგლებშიც თანადროულ პრესაში წარმოდგენილი ყველა მნიშვნელოვანი დისკურსული ცვლადის თავმოყრა იქნებოდა შესაძლებელი. ამასთან, სტატიაში დასმული საკვლევი კითხვებიდან გამომდინარე, შევეცადე დაკვირვების ფოკუსი გადამეტანა კონფლიქტში მონაწილე მხარეების მიერ საკუთარი და მოწინააღმდეგე მხარის აღქმაზე (ოსების მიერ საკუთარი თავის აღქმა,

---

[3] Wodak, Ruth. *Discursive construction of national identity*. Edinburgh University Press, 2009. გვ. 8.

[4] ჯგუფებისა და მათი ქმნადობის პროცესის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ როჯერ ბრუბეიქერის სტატია:
Brubaker, Rogers. *Ethnicity without groups*. Harvard university press, 2004.

[5] Wodak, გვ. 8.

ოსების მიერ ქართველების აღქმა, ქართველების მიერ საკუთარი თავის აღქმა, ქართველების მიერ ოსების აღქმა). ქვევით წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია კონფლიქტის დისკურსულ ხასიათზე დაკვირვებისთვის მნიშვნელოვანი ყველა ასპექტი, რომელიც, ერთი მხრივ, საშუალებას გვაძლევს, დავაკვირდეთ დისკურსის ზოგად ხასიათს, მეორე მხრივ მკაფიოდ დავინახოთ ეთნიკური კონფლიქტის დროს ჯგუფების ქმნადობის პროცესი (ცხრილი 1).

სტატიაზე მუშაობის განმავლობაში „ქართულ-ოსური კონფლიქტის დროითი წრფივის“ ფარგლებში თავმოყრილი დოკუმენტებიდან შეირჩა განსხვავებული ტიპის მედია კონტენტები, რომლებიც ფოკუსირებულია ქართულ-ოსური კონფლიქტში ჩართულ აქტორებზე, კონფლიქტის წარმოშობის მიზეზებსა და მხარეთა მოქმედებებზე, რის შესახებაც აქტიურად იუწყებოდა თანადროული ბეჭდური პრესა.

კონფლიქტის ასპექტები	*ჩარჩო (framing)*	
	პოზიტიური/შემრიგებლური	*ნეგატიური/მაპოლარიზებელი*
წარმოშობა	რაციონალური პოლიტიკური ინტერესი, პასუხისმგებლობის გაზიარება კონფლიქტის წამოწყების გამო	ირაციონალური მიდგომები (ისტორიული, მითოლოგიური, ემოციური ახსნები), პასუხისმგებლობისგან თავის არიდება
აქტორები	მრავალი აქტორი მრავალი მიზნებით	ორი აქტორი და მაღალი რადიკალიზაციის ხარისხი
მოქმედებები	მოლაპარაკებები/ მშვიდობისმყოფელი და კანონიერი მოქმედებები	ძალადობრივი ქმედებები

შედეგები	მინიმალური მსხვერპლი, თავისუფლება, მშვიდობიანი თანაცხოვრება	განადგურება, განდევნა, დაქვემდებარება
ვარიანტები (Options)	მოლაპარაკება, შერიგება, თანაარსებობა, მშვიდობა	სეპარაცია, კონფლიქტი და დაქვემდებარება
მორალური განაჩენები	საერთო მორალური, ლეგიტიმური და რაციონალური მიზნების პოვნა და მიღწევა	მხოლოდ „ჩვენს“ მხარეს აქვს მორალური და ლეგიტიმური მიზნები

ცხრილი 1.[6] კონფლიქტის ასპექტები და მათი დისკურსული ასახვა („ჩვენ“ და „სხვები“)

„ჩვენ“ და „სხვები“: სოციალური საზღვრების გამოგონება დისკურსით და დისკურსში

სეცესიური პროცესების გაჩენა და განვითარება ყოველთვის დაკავშირებულია გამოყოფის მოსურნე ჯგუფის მიერ იმგვარი საჯარო რიტორიკის ფორმირებასთან, რომელიც მკაფიო სოციალური, კულტურული და შემდგომში პოლიტიკური საზღვრების გაჩენის წინაპირობა გახდება.

საჯარო რიტორიკა თავისთავად დისკურსის ნაირსახეობაა, რომელიც, მიზნობრიობიდან გამომდინარე, შეიძლება იყოს როგორც პოზიტიური (შემრიგებლური), აგრეთვე ნეგატიური (მაპოლარიზებელი). რაც მთავარია, საჯარო რიტორიკის მიღმა დგანან კონკრეტული ადამიანები, რომელთა აზრი და სიტყვაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოცემული საზოგადოებისთვის.

[6] უნდა აღვნიშნოთ, რომ მედია დისკურსების ანალიზის მსგავსი ჩარჩო არ არის ექსკლუზიურად ჩვენს მიერ შემუშავებული. მსგავსი ჩარჩო მრავალჯერ იქნა გამოყენებული სხვადასხვა კონფლიქტებთან, მათ შორის იუგლოსავიის კონფლიქტთან მიმართებით. იხ. Jusić, Tarik. *Media discourse and the politics of ethnic conflict: the case of Yugoslavia*. na, 2009.

ამდენად, ნებისმიერი დისკურსი, რომელიც ჯგუფებს შორის სოციალური საზღვრების გამოგონებას ემსახურება, გვთავაზობს ამბავს (ნარატივს) „ჩვენსა“ და „სხვებს“ შორის არსებული განმასხვავებელი ნიშნების შესახებ. ქართულ-ოსური კონფლიქტის შემთხვევაში, ერთ-ერთი პირველი ჩანაწერი, რომელიც მსგავსი დაყოფის მცდელობად შეგვიძლია მოვიაზროთ, ალან ჩოჩიევის[7] აფხაზებისადმი მიწერილი მხარდამჭერი წერილია, რომელიც გაზეთმა „ლიტერატურულმა საქართველომ“ 1989 წლის 5 აპრილს გამოაქვეყნა (იხ. ფოტო 1).

ძვირფასო აფხაგო მეგობრებო!

ინფორმაცია აფხაზეთის მოვლენებზე, რომელიც რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მრუდე ხარკეში ასახული აღწევს ჩვენამდე, ჩვენში—გარდაქმნის მხარდამჭერი მოძრაობის „ადემონ ნიხასის“ წევრებში—განგაშისა და იმედის გრძნობებს იწვევს. ჩვენი განგაში გამოწვეულია იმის შიშით, რომ აფხაზი ხალხის კანონიერი მოთხოვნები, რომლებიც ჭეშმარიტი ეროვნული სუვერენიტეტის მიღწევას ეხება, რომლებმაც ფორმალური კანონიერება მოიპოვეს ხელისუფლების რესპუბლიკურ ორგანოთა ხელმძღვანელების ხელმოწერით, უკვე მერამდენედაა იგნორირებული ან სულაც „დამუხრუჭებული“ „მოძმე“ ქართველი ხალხის შეშფოთებით, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული აუვავების დაპირებათა მორიგი რაუნდებით, გამოიცხული არაა პროვოკაციები, რომლებიც მოწოდებულია „კანონიერი“ ხასიათი მიანიჭოს ამის თაობაზე ცენტრისათვის სათანადო ინფორმაციის მიუწოდებლად რეპუბლიკაში განსაკუთრებული ვითარების—„კონსტიტუციური პრივილეგიის“ შექმნას, რომელიც ახლ წარმტაცად ეხსრაფვოდა შიმშილობის გამოცხადებას მთავრობის სახლის კიბეზე 1988 წლის ნოემბერში.

ჩვენ იმედს გვინერგავს „აფხაზეთის საკითხის“ სამართლიანი და საბოლოოდ გადაწყვეტის პერსპექტივა, ამას კი ძალუძს შექმნას დეფაქტო ტოლფასოვანი პარიტეტი პრეზიდენტი ე. წ. მოკავშირე და სხვა ავტონომიურ წარმონაქმნებს შორის. ერთიანი ფედერალური ცენტრისადმი მათი ბორიზონტალური დაქვემდებარებით, ეროვნული ღირსების შემლახველი, თანადაქვემდებარების ფაქტიურად სახელგატეხილი ვერტიკალური, იერარქიული, ერთა რანგებად, უფლებებისა და პრივილეგიების მიხედვით დამხარისხებელი სისტემის გამორიცხვით, ჩვენს აღტაცებას იწვევს მამაცობა, ერთიანობა და დარაზმულობა აფხაზი ხალხისა, რომელიც არავითარ კომპრომისზე არ მიდის საკითხში, რომელიც მის წინაშე დგას ისტორიის მოცემულ მონაკვეთში—საკითხი სრული, უპირობო ეროვნული სუვერენიტეტის აღდგენისა, ეს კი უძველესი მაღალგანვითარებული კულტურის მემკვიდრე აფხაზი ერის უმდიდრესი სოციალური, კულტურული და ეკონომიკური პოტენციალის ყოველმხრივი განვითარების ერთადერთი წინაპირობაა.

„ადემონ ნიხასის“ წევრები, ისევე, როგორც მთელი ოსი ხალხი, დაძაბულად და თანაგრძნობით ადევნებს თვალყურს აფხაზეთის მოვლენებს. ამის ნადილს აღგიძრავს ოსეთისა და აფხაზეთის სოციალ-ეკონომიკური სიტუაციების საკმაოდ დიდი მსგავსება, რაშიც შეგვეძლო კიდევ ერთხელ დავრწმუნებულიყავით, როცა ნავიკითხეთ აფხაზი ხალხის წერილი XIX პარტკონფერენციისადმი, რაშიც გვარწმუნებს ჩვენი ხალხების კულტურულ-ისტორიული და მრავალსაუკუნოვანი კონტაქტები, რომლებიც ასახულია შ. დ. ინალ-იფას და ვ. ი. აბაკოვის და სხვათა შრომებში, აგრეთვე ის საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ ჩვენ ამაყი, დამოუკიდებელი სულის მთიელი ხალხები ვართ, ამ სულის გატეხვა კი ჩვენს გმირობითა და ტანჯვით აღსავსე ისტორიაში მრავალრიცხოვან „სტუმართაგან“ ვერცერთმა ვერ შეძლო. მით უფრო დღეს ვერ შეძლებს ამას ვერავინ იმათგან, ვინც ფსევდორეტორიკული ნაჯღაბნით იკვებება და ეროვნული ზვიადობის გაცვეთილი დროშით ცდილობს „დამუყავი და იბატონეს“ პრინციპით იმოქმედოს. მაგრამ ჩვენი ურყევობის საწინდარია ჩვენი მეგობრობა და ჭერ-ჭერობით მხოლოდ მორალური მხარდაჭერა ჩვენი მამაცი აფხაზი მეგობრებისა და ძმებისა! ოსეთის ხალხი თქვენ მხარს გიჭერთ. მხარს გიჭერთ ჩვენი ხელმძღვანელობაც, ოღონდ, მას ჭერ სიმამაცე არ ჰყოფნის.

ა. ჩოჩიევი,
„ადენოი ნიხასი“
(სახალხო ტაძარი).
ქ. ცხინვალი, სამხრეთ ოსეთი.

ფოტო 1. ჩოჩიევის მიმართვა აფხაზებისადმი. გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“. წყარო: ქართულ-ოსური კონფლიქტის დროითი წრფივი (1989-2008).

[7] ალან ჩოჩიევი – დაიბადა 1946 წელს. სამხრეთ-ოსეთის არაფორმალური გაერთიანების „ადამონ ნიხასის“ ლიდერი.

ნიშანდობლივია, რომ სამხრეთ ოსეთში ჩამოყალიბებული გაერთიანების, „ადემონ ნიხასის“ ლიდერი წერილით მიმართავს აფხაზებს, რომლებმაც, სულ რაღაც 18 დღით ადრე, 1989 წლის 18 მარტს შეადგინეს ლიხნის წერილი[8] და ითხოვეს იგივე სტატუსი, რაც აფხაზეთს 1921 წელს, ლენინის ეპოქაში გააჩნდა.

ჩოჩიევის აფხაზებისადმი მიწერილი წერილი რამდენიმე შრეს შეიცავს და, პირველ რიგში, მიმართულია საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენებისაკენ. სწორედ საქართველოს (ქართველების), როგორც ტიტულოვანი ერის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენებაა ის უმთავრესი ფაქტორი, რაც აფხაზებისა და ოსების მიერ მკაფიო სოციალური საზღვრების გამოგონების წინაპირობა უნდა გახდეს.

საინტერესოა, რომ წერილში აფხაზეთი წარმოდგენილია როგორც *„უძველესი და მაღალგანვითარებული კულტურის მემკვიდრე ერი“,* რასაც ემატება „უმდიდრესი სოციალური კულტურული, კულტურული და ეკონომიკური პოტენციალი, რომელთა სრულყოფილი განვითარებაც მხოლოდ აფხაზეთის ეროვნული სუვერენიტეტის აღდგენითაა შესაძლებელი.

„ადამონ ნიხასის“ ლიდერი მხოლოდ მსგავსი დისკურსული პრელუდიის შემდეგ გადადის მთავარ სათქმელზე და აფხაზეთისა და ოსეთის (აფხაზებისა და ოსების) მსგავსების ნიადაგზე მათ მიერ ეროვნული სუვერენიტეტის მოთხოვნის ლეგიტიმურობას უსვამს ხაზს.

წერილის ბოლო ნაწილში ხაზგასმულია აფხაზებსა და ოსებს შორის არსებული მრავალსაუკუნოვანი ისტორიული და კულტურული კონტაქტები და აგრეთვე მსგვსება ორ ეთნოსს შორის – აფხაზები და ოსები, ჩოჩიევის მიხედვით, მთიელი ხალხია.

[8] ლიხნის წერილი – 1989 წლის 18 მარტს, აფხაზეთში, ლიხნის კრებაზე შედგენილი პეტიცია, რომელიც აფხაზეთის სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს მოითხოვდა.

ავტორის მიერ აფხაზებისა და ოსების მთიელობაზე ხაზგასმა სპეციფიკური, მაერთიანებელი დისკურსის საშუალებით სოციალური საზღვრის გამოგონების მცდელობაა. გამოგონებული საზღვარი ერთ მხარეს აქცევს „მთიელი ხალხს“, აფხაზებსა და ოსებს, რომლებიც ერთი მიზნისთვის, ეროვნული სუვერენიტეტის მიღწევისთვის იბრძვიან და ამ ბრძოლაში უპირისპირდებიან არამთიელ, ბარის ხალხ ქართველებს.

სტატიის მეთოდოლოგიურ ნაწილში დისკურსის საანალიზოდ შემოთავაზებული ჩარჩო-ცხრილის მიხედვით ჩოჩიევის წერილი შეიცავს სპეციფიკურ თხრობას კონფლიქტის ***წარმოშობის,*** მასში ჩართულ ***აქტორთა ინტერესებისა*** და **მორალური განაჩენების** შესახებ. საინტერესოა, თითოეული მათგანის ცალ-ცალკე განხილვა.

წარმოშობა – ჩოჩიევის წერილი გვთავაზობს გამოკვეთილ მიზეზს, თუ რა უდევს საფუძვლად, ერთი მხრივ, ქართულ-ოსურ, მეორე მხრივ კი ქართულ-აფხაზურ კონფლიქტს. ავტორის მიხედვით, ეს მიზეზი ერთიანი ფედერალური ცენტრისადმი (მოსკოვისადმი) ჰორიზონტალური დაქვემდებარების სურვილია, რამაც აფხაზები და ოსები ქართველებთან უნდა გაათანაბროს. ნიშანდობლივია, რომ წერილი რაციონალური პოლიტიკური ინტერესის გარდა, გაჯერებულია შედარებით ირაციონალური ისტორიული პარალელებით, რაც დისკურსს მაპოლარიზებელ ფორმას აძლევს.

აქტორთა ინტერესები – წერილში გამოყოფილია მოქმედი და პასიური აქტორები. მოქმედ აქტორთა შორის დასახელებულია აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, როგორც გამოყოფის მოსურნე ტერიტორიები, საქართველო, როგორც მსგავსი გამოყოფის მოწინააღმდეგე სუვერენული სახელმწიფო (შუა რგოლი) და ცენტრი (მოსკოვი).

მორალური განაჩენები – ამ თვალსაზრისით, ჩოჩიევის წერილში წარმოდგენილია მთელი რიგი წინასწარგანწყობები, სადაც ოსებისა და აფხაზების მორალურ პრივილეგიები და მათი მისწრაფებების ლეგიტიმურობაა ხაზგასმული.

ამბავი ქართულ იმპერიასა და ქართველ ნაციონალისტებზე

ალან ჩოჩიევი მხოლოდ ამ ერთი წერილით არ გამქრალა ქართული პერიოდული პრესის ფურცლებიდან. 1990 წლის 28 სექტემებერს, ჟურნალი „ლიტერატურული საქართველო“ რამდენიმე გვერდს უთმობს ჩოჩიევის ინტერვიუს[9], რომელიც პირველად მოსკოვში, ოსი ახალგაზრდების კავშირის მიერ გამოცემულ გაზეთ “ირ“-ში იბეჭდება. ნიშანდობლივია, რომ ჩოჩიევის ინტერვიუს „ლიტერატურული საქართველო“ შემდეგნაირად ასათაურებს: *ალან ჩოჩიევის ალანური მელოდიები.* მეტიც, „ლიტერატურული საქართველოს“ იმავე ნომერში, ჩოჩიევის პასუხად, მწერალი გურამ ფანჯიკიძე[10] აქვეყნებს ვრცელ წერილს სათაურით *„ეჰ, ალან, ალან!“.*

საინტერესოა, რა დისკურსული თავისებურებებით ხასიათდება როგორც ჩოჩიევის, ასევე ფანჯიკიძის სტატიები და რამდენად შეიძლება მათი მოთავსება იმ ისტორიულ კონტექსტში, რომელშიც აღნიშნული ტექსტები დაიწერა.

„ადამონ ნიხასის“ ხელმძღვანელის მოსკოვში ჩაწერილი ინტერვიუ შეიცავს რამდენიმე საინტერესო გზავნილს, რომელთა იდენტიფიცირებაც შესაძლოა უმნიშვნელოვანესი იყოს ინტერვიუს დისკურსული თავისებურებების გაგებისა და ანალიზისთვის. კორესპონდენტის მიერ დასმული პირველ კითხვაზე, რომელიც 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ ოსეთის გარშემო მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში წარმოქმნილ არსებით ფაქტორებსა და ახალ გარემოებებს უკავშირდება,[11] ჩოჩიევის პასუხი არც ისე პირდაპირია. უფრო მეტიც, ჩოჩიევის პასუხის მიხედვით ირკვევა, რომ ოსურმა მხარისთვის 9 აპრილი გახდა წითელი ზოლი, რომელმაც საქართველოს ხელისუფლებაში არსებითი ცვლილებები გამოიწვია და როგორც საკანონმდებლო,

[9] ლიტერატურული საქართველო, 1990, N39. იხ. https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/303698/1/Literaturuli_Saqartvelo_1990_N39.pdf (წვდომის თარიღი: 25.09.2021)

[10] გურამ ფანჯიკიძე (1933-1997 წ.წ.) - ქართველი მწერალი, რედაქტორი.

[11] უფრო ზუსტად, კორესპონდენტი სვამს კითხვას „რა მიგაჩნიათ ოსეთისათვის ყველაზე არსებითად 9 აპრილის შემდგომ პოლიტიკურ პროცესში?“

ასევე აღმასრულებელი ხელისუფლებები ქართველ ნაციონალისტთა (როგორც ჩოჩიევი მიუთითებს, ნაცისტთა და რადიკალთა) ხელში აღმოჩნდა. 9 აპრილმა, როგორც გარდამტეხმა მოვლენამ, თუ ჩოჩიევს დავუჯერებთ, შექმნა ერთგვარი „9 აპრილის სინდრომი“, რომლის გამოხატულებაც იმპერიის პერიფერიებში (სამხრეთ კავაკასიაში, საქართველოში) ცენტრის (მოსკოვის) განეიტრალებაა. 9 აპრილამდე ცენტრი აკონტროლებდა საქრათველოში მიმდინარე პროცესებს და აკავებდა ნაციონალისტთა სურვილებსა და ზრახვებს, თუმცა შემდგომ გაქრა მაკონტროლებელი, მანეიტრალებელი ბერკეტი, რამაც აფხაზეთისა და ოსეთის კონფლიქტები გამოიწვია.

ინტერვიუს შემდეგ ნაწილში ჩოჩიევი საქართველოს, როგორც სახელმწიფოს ქცევას აფხაზებისა და ოსებისადმი, შემდეგნაირად ხსნის:

„ვიცი, რომ სხვადასხვა ფრონტების, პარტიების, ჯგუფების (რესპუბლიკის სახალხო ფრონტი, ჰელსინკის კავშირი და სხვა) დასახლება მხოლოდ შირმაა და მათ სახელწოდებებს არაფერი საერთო არ აქვთ იმ იდეებთან, რომლებიც იგულისხმება ცივილიზებულ ევროპულ სამყაროში. ეს კარგად გამოჩნდა აფხაზეთისა და განსაკუთრებით სამხრეთ ოსეთის ამბებში. ეს დეკლამაცია დეკორაციაა ევროპისათვის, ქართული დემოკრატიის თამაშით მის გასაბითურებლად. სინამდვილეში ამის მიღმა იმალება იმპერიული არსი.“

სწორედ საქართველოს იმპერიულ არსზე ხაზგასმაა ის კვანძი, სადაც ქართული იმპერიალიზმი და ნაციზმი კვეთენ ერთმანეთს. ჩოჩიევის მიერ ფორმირებულ დისკურსში, საქართველოს სახელმწიფოს სახე-ხატი კონსტრუირებულია როგორც ნაციონალისტურ-იმპერიული, აგრესიული და ირაციონალური.[12]

[12] უფრო მეტიც, საკუთარი მოსაზრების დასასაბუთებლად ჩოჩიევი იყენებს რუსი ფიზიკოსის, დისიდენტისა და ნობელიანტის, ანდრია სახაროვის სიტყვებს, რომელმაც საქართველოს მცირე იმეპრიად მონათლა.

საინტერესოა, რომ ინტერვიუს ბოლოს „ლიტერატურული საქართველო“ შემდეგ შენიშვნას აკეთებს:

„თუმცა, ეს პუბლიკაცია ნათლად წარმოაჩენს ა. ჩოჩიევის პიროვნებასა და მის მრწამსს, მაინც, მკითხველისთვის რიგი საკითხების ბოლომდე გასარკვევად, კომენტარებისთვის რედაქციამ მიმართა მწერალ გურამ ფანჯიკიძეს.“

სწორედ ამ შენიშვნის შემდეგ, მედია დისკურსში შემოდის ახალი მოქმედი პირი, მწერალ გურამ ფანჯიკიძის სახით, რომელსაც „ლიტერატურული საქართველო“ და ქართველი ერი აკისრებს პასუხისმგებლობას, რომ სათანადო პასუხი გასცეს ალან ჩოჩიევის ბრალდებებს (ფოტო 2).

ეხ, ალან, ალან!

გურამ ფანჯიკიძე

ფოტო 2. პასუხი ალან ჩოჩიევს.

ფანჯიკიძე სტატიის დასაწყისში ხაზს უსვამს საკუთარი წერილის მიზნობრიობას:
„მე არ ვაპირებ მსგავს მოვლენათა საერთო ანალიზს, მხოლოდ ერთ კონკრეტულ საკითხზე მინდა ვილაპარაკო, უფრო სწორედ, ერთ კონკრეტულ ინტერვიუს მინდა გავუკეთო კომენტარი, რომლის ავტორის „დიდი დამსახურებაა“ ქართველებსა და ოსებს შორის მართლაც ტრადიციული მეგობრული ურთიერთობის სრული განადგურების მცდელობა, შუღლისა და უნდობლობის დათესვა, პროვოკაციული აზრებითა და ცრუმეცნიერული არგუმენტებით ხალხის დაბნევა და, საბოლოოდ, უდანაშაულო ადამიანთა სისხლისღვრა. ამ ინტერვიუს ავტორი გახლავთ „ადამონ ნიხასის“ შემქმნელი და დღევანდელი თავმჯდომარე ა. ჩოჩიევი. მე, სამწუხაროდ, უკვე

მეორედ მიხდება პასუხი გავცე ა. ჩოჩიევს. დიდი ვერაფერი სიამოვნებაა, ელაპარაკო რეგვენსა და სინდისგარეცხილ პიროვნებას, მაგრამ მეტ გამოსავალსაც ვერ ვხედავ“.

ავტორის სტილი და რიტორიკა დასაწყისიდანვე თავსდება, ნეგატიურ, მაპოლარიზებელ საზღვრებში და წინასწარ სთავაზობს მკითხველს წინასწარგანწყობათა ჯაჭვს, რომელიც ჩოჩიევის პიროვნული დისკრედიტაციისკენ არის მიმართული (სეპარატისტი, სინდისგარეცხილი, რეგვენი). ნიშანდობლივია, რომ ფანჯიკიძე საკუთარ წერილში ჩოჩიევის რამდენიმე მოსაზრების კრიტიკას განსაკუთრებულ ადგილს უთმობს, მათ შორის კი ოსური მხარის ინტერესების შესაბამისად ინტერპრეტირებული ისტორიულ საკითხებს.

და მაინც, რა არის ის ისტორიული საკითხები, რასაც ჩოჩიევი სამხრეთ ოსეთის სეცესიის ლეგიტიმურობის დასასაბუთებლად იყენებს და რაც ასე მტკივნეულად არის აღქმული ქართული მხარის მიერ? – უმთავრესი მაინც მინიშნება და მტკიცებაა, რომ სამხრეთ ოსეთი არასდროს ყოფილა საქართველოს განუყოფელი ნაწილი. სწორედ ამ ამოსავალი დებულების გარშემოა ფორმირებული ფანჯიკიძის ნარატივი, რომელიც ცდილობს ისტორიულ ბრძოლის ველზე დაიცვას საკუთარი მხარის ინტერესები. სტატიის მიზანი არ არის ფანჯიკიძის სტატიის სიღმისეული ანალიზი, ამდენად, შევეცდები, გამოვყო ის ძირითადი მახასიათებლები, რაც ამ წერილის დისკურსული მახასიათებლების გამოვლენაში დაგვეხმარება.

პირველ რიგში, როგორც ჩოჩიევი ასევე ფანჯიკიძე საკუთარი იდეების განვითარების არეალად ირჩევენ წარსულს, ისტორიას და ავტორიტეტებისა და კონკრეტული ისტორიული წყაროების მოხმობით ცდილობენ იდეური საფუძველი შექმნან თავიანთი ჯგუფების პრეტენზიებს, კანონიერ სურვილებსა თუ მოქმედებებს ამა თუ იმ ტერიტორიის (სამხრეთ ოსეთი, აფხაზეთი) მიმართ.

უცნაურია, რომ ორივე წერილის ავტორის ისტორიული წიაღსვლები ადრეულ შუა საუკუნეებს აღწევს, რაც, ერთი მხრივ, უფრო ბუნდოვანს, ხოლო მეორე მხრივ კომიკურს ხდის არსებულ მძიმე რეალობას.

ფანჯიკიძე, წერილის დანარჩენ ნაწილში, სათითაოდ პასუხობს ჩოჩიევის მიერ წამოყენებულ ბრალდებებს და ცდილობს მკითხველი მათ უსაფუძვლობაში დაარწმუნოს.

ბუნებრივია, როგორც ჩოჩიევის, აგრეთვე ფანჯიკიძის წერილებს მარტივი, თუმცა მნიშვნელოვანი დანიშნულება უნდა შეესრულებინათ: ემოქმედათ საკუთარი ჯგუფების განწყობებზე და გაეერთიანებინათ ისინი გარკვეული ტიპის ცოდნის კონსტრუქციაში (დისკურსში), რომელიც, მეტწილად, პოლარიზაციისა და რადიკალიზაციის გაძლიერებას უნდა მომსახურებოდა.

შეჯამება

წარმოდგენილ ნაშრომში შევეცადეთ, „ქართულ-ოსური კონფლიქტის დროითი წრფივის (1989-2008)“ ფარგლებში თავმოყრილ საარქივო მასალებზე დაყრდნობით გამოგვეკვეთა ეთნიკური კონფლიქტის პარალელურად მედია დისკურსების ფორმირების პროცესი.

კვლევის მიზნებიდან და შეზღუდვებიდან გამომდინარე, ასობით დოკუმენტს შორის მიზნობრივად შერჩეულ იქნა რამდენიმე საგაზეთო პუბლიკაცია, რომლებშიც მეტ-ნაკლებად არის გამოკვეთილი ქართულ-ოსური კონფლიქტის საწყის ეტაპზე მედიაში ფორმირებული დაპირისპირებული დისკურსები. დისკურსებზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად გამოიკვეთა მისი მკაფიო მახასიათებლები, რომლებიც განსაზღვრული იყო სხვადასხვა აქტორისა (ძირითადად, პოლიტიკური ლიდერების, საჯარო ფიგურების, ინტელექტუალების) განსხვავებული ფაქტორების მიერ. სწორედ წამყვანი აქტორების მიერ ფორმირებული რიტორიკა, კონფლიქტის ფაქტორებს შორს შეკავშირების ახალი ლოგიკის ძიება და ამ გზით ჯგუფების ფორმირების პროცესის

წახალისება აღმოჩნდა ქართულ-ოსური კონფლიქტის დისკურსული განზომილების ძირითადი მახასიათებელი.

სტატია მიზნად ისახავდა პასუხი გაეცა შემდეგი ორი ძირითადი საკვლევი კითხვისთვის:

- როგორ განსაზღვრავდა თანადროული მედია დისკურსი კონფლიქტში ჩართული მხარეების როლს და რომელ ძირითად ფაქტორებსა თუ აქტორებზე მახვილდებოდა ყურადღება?
- რამდენად ზემოქმედებდა ქართულ-ოსური კონფლიქტის გარშემო ფორმირებული მედია დისკურსები საკუთრივ კონფლიქტსა და პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესზე?

კვლევის ფარგლებში დამუშავებულ მასალებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართულ-ოსური კონფლიქტის პარალელურად მედიაში წარმოდგენილი დისკურსები უმთავრესად სოციალური საზღვრების (Social Boundaries) გამოგონებას ისახავდა მიზნად. თუმცა, ამ პროცესის პარალელურად, მიმდინარეობდა კონფლიქტში ჩართული მხარეების მიზნებისა და სურვილების ლეგიტიმურობის დასაბუთება, სხვადასხვა, მათ შორის წარსულის ტენდენციური ინტერპრეტაციის გზით.

რაც შეეხება კითხვას, თუ რამდენად ზემოქმედებდა მედია დისკურსები პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესზე. ამ კითხვაზე ცალსახა, მკაფიოდ დასაბუთებულ პასუხს წარმოდგენილი ნაშრომი არ გვთავაზობს. შეიძლება ვთქვათ, რომ დისკურსი აძლიერებდა მხარეთა ურთიერთსაწინააღმდეგო, მტრულ განწყობებს, რასაც შეიძლება არაპირდაპირი გავლენა ჰქონოდა პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Brubaker, Rogers. *Ethnicity without groups*. Harvard university press, 2004.
2. Foucault, Michel. *Archaeology of knowledge and the discourse on language.* Pantheon Books, New York. 1971.
3. Galtung, Johan. *Peace by peaceful means: Peace and conflict, development and civilization*. Vol. 14. Sage, 1996.
4. Jusić, Tarik. *Media discourse and the politics of ethnic conflict: the case of Yugoslavia*. na, 2009.
5. Wodak, Ruth. *Discursive construction of national identity*. Edinburgh University Press, 2009.
6. ლიტერატურული საქართველო, 1990, N39. იხ. https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/303698/1/Literaturuli_Saqartvelo_1990_N39.pdf